



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის  
შესრულების მიმოხილვა



**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის მაჩვენებლები**

*ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი*

დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის 6 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
<b>შემოსავლები</b>	<b>151,162.7</b>	<b>77,786.6</b>	<b>84,009.2</b>
გადასახადები	29,900.0	22,350.0	22,731.8
გრანტები	80,601.5	35,298.4	37,854.0
სხვა შემოსავლები	40,661.2	20,138.2	23,423.4
<b>ხარჯები</b>	<b>87,309.6</b>	<b>42,808.3</b>	<b>38,280.4</b>
შრომის ანაზღაურება	19,651.2	9,524.2	8,860.8
საქონელი და მომსახურება	34,982.1	17,239.8	15,448.7
პროცენტი	4,447.5	2,100.7	1,866.1
სუბსიდიები	13,667.1	8,137.1	7,409.7
გრანტები	25.5	22.0	8.2
სოციალური უზრუნველყოფა	8,586.9	4,187.7	3,392.5
სხვა ხარჯები	5,949.3	1,596.8	1,294.4
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>63,853.1</b>	<b>34,978.3</b>	<b>45,728.8</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>51,287.8</b>	<b>25,249.7</b>	<b>22,376.3</b>
ზრდა	62,187.8	28,795.2	25,732.7
კლება	10,900.0	3,545.5	3,356.4
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>12,565.3</b>	<b>9,728.6</b>	<b>23,352.5</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-1,229.2</b>	<b>1,482.8</b>	<b>15,499.5</b>
ზრდა	4,677.6	2,885.7	15,499.5
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	13,568.1
აქციები და სხვა კაპიტალი	4,677.6	2,885.7	1,931.4
კლება	5,906.8	1,402.9	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	5,906.8	1,402.9	0.0
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-13,794.5</b>	<b>-8,245.8</b>	<b>-7,853.0</b>
კლება	13,794.5	8,245.8	7,853.0
საშინაო	13,794.5	8,245.8	7,853.0
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>



*ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება*

დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის 3 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
<b>შემოსულობები</b>	<b>162,062.7</b>	<b>81,332.1</b>	<b>87,365.6</b>
შემოსავლები	151,162.7	77,786.6	84,009.2
არაფინანსური აქტივების კლება	10,900.0	3,545.5	3,356.4
<b>გადასახდელები</b>	<b>167,969.5</b>	<b>82,735.0</b>	<b>73,797.5</b>
ხარჯები	87,309.6	42,808.3	38,280.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	62,187.8	28,795.2	25,732.7
ფინანსური აქტივების ზრდა	4,677.6	2,885.7	1,931.4
ვალდებულებების კლება	13,794.5	8,245.8	7,853.0
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-5,906.8</b>	<b>-1,402.9</b>	<b>13,568.1</b>

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსულობები**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 87,365.6 ათასი ლარი. რაც შემოსულობების 2018 წლის მთლიანი გეგმიური მაჩვენებლის 53.9%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 22,731.8 ათასი ლარი (შემოსულობების - 26.0%), გრანტებისა და ფინანსური დახმარების სახით მიღებულ შემოსავლებზე – 37,854.0 ათასი ლარი (შემოსულობების - 43.3%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე – 23,423.4 ათასი ლარი (შემოსულობების - 26.8%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 3,356.4 ათასი ლარი (შემოსულობების - 3.8%).




ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის  
ფაქტიური შემოსულობები

№	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
<b>1</b>	<b>შემოსავლები</b>	<b>84,009.2</b>	<b>96.2%</b>
1.1	გადასახადები	22,731.8	26.0%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	37,854.0	43.3%
1.3	სხვა შემოსავლები	23,423.4	26.8%
<b>2</b>	<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>3,356.4</b>	<b>3.8%</b>
<b>ჯამი</b>		<b>87,365.6</b>	<b>100%</b>

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის  
6 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები







№	შემოსულობების დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის 6 თვე			
			გეგმა	საკასო შესრულება	ბადახრა	შესრულება %
1	შემოსავლები	151,162.7	77,786.6	84,009.2	6,222.6	108.0%
1.1	გადასახადები	29,900.0	22,350.0	22,731.8	381.8	101.7%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	80,601.5	35,298.4	37,854.0	2,555.6	107.2%
1.3	სხვა შემოსავლები	40,661.2	20,138.2	23,423.4	3,285.2	116.3%
2	არაფინანსური აქტივების კლება	10,900.0	3,545.5	3,356.4	-189.1	0.0%
<b>ჯამი</b>		<b>162,062.7</b>	<b>81,332.1</b>	<b>87,365.6</b>	<b>6,033.5</b>	<b>107.4%</b>

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 53.9%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები წლიურ გეგმასთან მიმართებაში





### შემოსავლები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 77,786.6 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 84,009.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 108.0%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

### გადასახადები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის იანვარ-ივნისის თვეების ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 22,731.8 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 22,350.0 ათასი ლარის 101.7%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 26.0%-ს.

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:



**საშემოსავლო გადასახადი** - მიმდინარე პერიოდის გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 1,900.0 ათას ლარს, საკასო - 3,128.8 ათას ლარს, შესრულდა 164.7%-ით. კერძოდ, გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან - 1,745.5 ათასი ლარი; გადასახადი არარეზიდენტი პირების შემოსავლებიდან (გარდა ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისა) 163.7 ათასი ლარი; გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან - 85.5 ათასი ლარი; გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან - 1,134.3 ათასი ლარი.

**ქონების გადასახადი** - საანგარიშო პერიოდში ქონების გადასახადის სახით მობილიზებული იქნა 19,603.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (20,450.0 ათასი ლარი) 95.9%-ია.

ქონების გადასახადის ცალკეული სახეობის მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

№	დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის 3 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა
1	<b>სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:</b>	<b>24,500.0</b>	<b>20,450.0</b>	<b>19,603.0</b>	<b>-847.0</b>
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	21,650.0	20,450.0	19,413.1	-1,036.9
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	1,150.0	0.0	61.8	61.8
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,700.0	0.0	128.1	128.1

**ფინანსური დახმარება და გრანტები**

2018 წლის 6 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 37,854.0 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 35,298.4 ათას ლარს, გეგმა შესრულდა 107.2%-ით.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან გათანაბრებითი ტრანსფერი შეადგენს 23,500.4 ათას ლარს, სხვა სპეციალური ტრანსფერის - 1,646.0 ათასი ლარი, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 12,707.6 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერის სახით - 12,662.6 ათასი ლარი და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან - 45.0





ათასი ლარი, რომელიც განკუთვნილი იყო: ქალაქ ბათუმში, კვიპაროსის ქ. №36-ში სტიქიის შედეგად დაზარალებული მანანა ბერიძის, სათნოების ქ. №7-ში მცხოვრები, სტიქიის შედეგად დაზარალებული მალხაზ ბერიძის და განთიადის დასახლებაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული, მამუდ ბერიძის ოჯახებისათვის, თითოეულზე 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 43.3%-ია.

№	დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის 6 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა
1	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	41,411.8	21,268.6	25,146.4	-3,877.8
1.1	გათანაბრებითი ტრანსფერი	40,286.4	20,143.2	23,500.4	-3,357.2
1.2	სპეციალური ტრანსფერი	1,125.4	1,125.4	1,646.0	-520.6
	სხვა სპეციალური ტრანსფერი	1,125.4	1,125.4	1,646.0	-520.6
2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	39,189.7	14,029.8	12,707.6	1,322.2
2.1	კაპიტალური ტრანსფერი	38,000.0	13,484.8	12,662.6	822.2
2.2	ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	1,144.7	500.0		500.0
2.3	სარეზერვო ფონდი	45.0	45.0	45.0	
	<b>ჯამი</b>	<b>80,601.5</b>	<b>35,298.4</b>	<b>37,854.0</b>	<b>-2,555.6</b>

### სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2018 წლის 6 თვის საპროგნოზო მოცულობა 20,138.2 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 23,423.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 116.3%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 26.8%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:





საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 1,018.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (683.0 ათასი ლარი) 149.1%-ია. მათ შორის:

- პროცენტებიდან მობილიზებულია 346.9 ათასი ლარი;

- რენტის სახით მიღებულია 671.7 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 211.2 ათასი ლარი, მიწის იჯაროდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე - 460.5 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 19,465.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (16,764.8 ათასი ლარი) 116.1%-ია. აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით – 19,462.0 ათასი ლარი. მათ შორის:

- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) – 229.3 ათასი ლარი;

- საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი – 1.5 ათასი ლარი;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 1.0 ათასი ლარი;

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 18,354.4 ათასი ლარი, მათ შორის:

*სამორინის მაგიდიდან – 7,147.5 ათასი ლარი;*

*სათამაშო აპარატებიდან – 9,984.1 ათასი ლარი;*

*სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობებიდან – 1,000.0 ათასი ლარი;*

*წამახალისებელი გათამაშებიდან – 106.7 ათასი ლარი;*

*კლუბის მაგიდიდან – 109.9 ათასი ლარი;*

სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 6.2 ათასი ლარი;

- ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის – 37.9 ათასი ლარი;

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის – 837.9 ათასი ლარი;




- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 3.0 ათასი ლარი;

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 2,075.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2,350.4 ათასი ლარის) 88.3%-ია.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 864.2 ათასი ლარი. გეგმა 340.0 ათას ლარს შეადგენს ე.ი. შესრულდა 254.2%.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები





**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

დასახელება	2018 წლის გიგმა	2018 წლის 6 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>40,661.2</b>	<b>20,138.2</b>	<b>23,423.4</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>1,417.2</b>	<b>683.0</b>	<b>1,018.6</b>
<b>პროცენტები</b>	<b>600.0</b>	<b>360.0</b>	<b>346.9</b>
<b>რენტა</b>	<b>817.2</b>	<b>323.0</b>	<b>671.7</b>
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	140.0	53.0	211.2
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	677.2	270.0	460.5
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>33,844.0</b>	<b>16,764.8</b>	<b>19,465.0</b>
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>	<b>33,600.0</b>	<b>16,764.8</b>	<b>19,462.0</b>
სანებართვო მოსაკრებელი	400.0	200.0	229.3
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0	1.5
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	0.0	1.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	30,000.0	14,851.8	18,354.4
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	1,200.0	713.0	37.9
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2,000.0	1,000.0	837.9
<b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>	<b>244.0</b>	<b>0.0</b>	<b>3.0</b>
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	244.0	0.0	0.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0.0	0.0	3.0
<b>ჯარიმები, სანქციები და საურავები</b>	<b>4,700.0</b>	<b>2,350.4</b>	<b>2,075.5</b>
<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>	<b>700.0</b>	<b>340.0</b>	<b>864.3</b>

**არაფინანსური აქტივების კლება**

2018 წლის 6 თვის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 3,356.4 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც მიწაზე უფლების აღიარებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს 4.6 ათას ლარს, შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 3,351.8 ათას ლარს,

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება**



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების გეგმიური მაჩვენებელი -1,402.9 ათასი ლარით იყო განსაზღვრული, ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 13,568.1 ათასი ლარი. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდის ბოლოს ნაშთმა შეადგინა 19,609.2 ათასი ლარი.




### ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის გადასახდელები

#### ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა შემდეგნაირად გამოიყურება (იხილეთ დიაგრამა):

#### ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ კრილში






**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის კრილში**

№	გადასახდელის დასახელება	2018 წლის ბეგმა	2018 წლის 6 თვე			
			ბეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
<b>1</b>	<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	<b>15,024.6</b>	<b>6,680.7</b>	<b>5,856.1</b>	<b>87.7%</b>	<b>9.1%</b>
1.1	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	7,769.0	4,072.0	3,593.5	88.2%	5.6%
1.2	საერთო დანიშნულების მომსახურება	2,765.9	465.8	396.3	85.1%	0.6%
1.3	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	4,447.5	2,100.7	1,866.1	88.8%	2.9%
1.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	42.2	42.2	0.2	0.5%	0.0%
<b>2</b>	<b>თავდაცვა</b>	<b>21.4</b>	<b>12.0</b>	<b>7.0</b>	<b>58.3%</b>	<b>0.01%</b>
<b>3</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>46,169.7</b>	<b>20,532.7</b>	<b>19,164.7</b>	<b>93.3%</b>	<b>29.9%</b>
3.1	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული	160.0	40.0	0.0	0.0%	0.0%
3.2	ტრანსპორტი	44,177.4	19,779.1	18,515.8	93.6%	28.9%
3.3	ეკონომიკის სხვა დარგები	435.0	0.0	0.0	-	0.0%
3.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1,397.3	713.6	648.9	90.9%	1.0%
<b>4</b>	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>11,768.6</b>	<b>5,581.1</b>	<b>5,400.7</b>	<b>96.8%</b>	<b>8.4%</b>
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	8,199.7	4,099.8	4,099.0	100.0%	6.4%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	3,568.9	1,481.3	1,301.7	87.9%	2.0%
<b>5</b>	<b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>	<b>27,995.6</b>	<b>14,382.0</b>	<b>13,163.8</b>	<b>91.5%</b>	<b>20.6%</b>
5.1	ბინათმშენებლობა	1,260.6	420.0	91.8	21.9%	0.1%
5.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	4,849.0	1,305.2	1,171.1	89.7%	1.8%
5.3	წყალმომარაგება	14,407.8	8,724.3	8,578.8	98.3%	13.4%
5.4	გარე განათება	4,248.5	2,209.3	1,949.0	88.2%	3.0%
5.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	3,229.7	1,723.2	1,373.1	79.7%	2.1%
<b>6</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>4,216.3</b>	<b>1,720.3</b>	<b>1,415.3</b>	<b>82.3%</b>	<b>2.2%</b>
<b>7</b>	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>19,795.7</b>	<b>10,008.1</b>	<b>7,908.8</b>	<b>79.0%</b>	<b>12.4%</b>
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	13,135.7	7,005.1	5,400.5	77.1%	8.4%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	6,500.9	2,926.7	2,469.1	84.4%	3.9%
7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	159.1	76.3	39.2	51.4%	0.1%
<b>9</b>	<b>განათლება</b>	<b>15,286.2</b>	<b>7,659.5</b>	<b>7,005.5</b>	<b>91.5%</b>	<b>10.9%</b>
<b>10</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>9,219.3</b>	<b>5,027.1</b>	<b>4,091.1</b>	<b>81.4%</b>	<b>6.4%</b>
<b>გადასახდელის ჯამი</b>		<b>149,497.4</b>	<b>71,603.5</b>	<b>64,013.0</b>	<b>89.4%</b>	<b>100%</b>

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის შრიტში (გეგმა-ფაქტი)**



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 6,680.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 5,856.1 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 87.7%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საერთო დანიშნულების მომსახურება, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, წინა პერიოდის დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების, თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერების და მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს 9.1%-ს.

თავდაცვის სფეროზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 7.0 ათასი ლარით, გეგმა - 12.0 ათასი ლარი.

ეკონომიკური საქმიანობისთვის დაგეგმილი იყო 20,532.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 19,164.7 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 93.3%. მისი ხვედრითი





წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 29.9%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობას, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვის, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარების, ქალაქის საჭიროებებთან დაკავშირებული სტრატეგიული და სხვა ტიპის კვლევებს, მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობის და მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობის ხარჯებს, ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნას, მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირებას, საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შექმნის ხელშეწყობას, ეკონომიკური ფორუმების ორგანიზებას, ბათუმის ისტორიული განაშენიანების საზღვრებში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარების მხარდაჭერას.

**გარემოს დაცვაზე** გათვალისწინებული იყო 5,581.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 5,400.7 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 96.8%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობის და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის ღონისძიებები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 8.4%-ია.

**საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე** გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, სანიტარული დაცვის ღონისძიებების და ქალაქის გაფორმების ხარჯები, შეადგენდა 14,382.0 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 13,163.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 91.5%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 20.6%-ს.

**ჯანმრთელობის სფეროს** დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 1,720.3 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 1,415.3 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 82.3%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 2.2%-ს.



**დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების** გეგმა შეადგენდა 10,008.1 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 7,908.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 79.0%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 12.4%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობის ხარჯები, ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვის ხარჯები, საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის ღონისძიებები, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის ღონისძიებები, ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა, ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრის ხარჯები, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციის ხარჯები, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი კულტურის, სპორტისა და დასვენების დაწესებულებების მიმდინარე, ასევე მათი რეაბილიტაციის ხარჯები და ახალგაზრდული ცენტრის, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებები.


**განათლების სფეროზე** გათვალისწინებული იყო 7,659.5 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 7,005.5 ათას ლარს, ანუ გეგმის 91.5%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის, ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ასევე საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 10.9%-ს.

**სოციალურ დაცვაზე** დაგეგმილი იყო 5,027.1 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 4,091.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 81.4%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 6.4%-ს.



**ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ქრილში**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ქრილში აქვს შემდეგი სახე:



№	გადასახდელების დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის 6 თვე			
			გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	შრომის ანაზღაურება	19,651.2	9,524.2	8,860.9	93.0%	12.0%
2	საქონელი და მომსახურება	34,982.0	17,239.7	15,448.7	89.6%	20.9%
3	პროცენტი	4,447.5	2,100.7	1,866.1	88.8%	2.5%
4	სუბსიდიები	13,667.1	8,137.1	7,409.7	91.1%	10.0%
5	გრანტები	25.5	22.0	8.2	-	0.0%
6	სოციალური უზრუნველყოფა	8,586.9	4,187.7	3,392.5	81.0%	4.6%
7	სხვა ხარჯები	5,949.4	1,596.9	1,294.3	81.1%	1.8%
8	არაფინანსური აქტივები	62,187.8	28,795.2	25,732.7	89.4%	34.9%
9	ფინანსური აქტივები	4,677.6	2,885.7	1,931.4	66.9%	2.6%
10	ვალდებულებები	13,794.5	8,245.8	7,853.0	95.2%	10.6%
<b>გადასახდელების ჯამი</b>		<b>167,969.5</b>	<b>82,735.0</b>	<b>73,797.5</b>	<b>89.2%</b>	<b>100%</b>



**შრომის ანაზღაურებაზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 8,860.9 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 12.0%.

**საქონელზე და მომსახურებაზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 15,448.7 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 20.9%-ია.

**პროცენტების დაფარვის** ხარჯებმა შეადგინა 1,866.1 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 2.5%-ია.

**სუბსიდიის** სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 7,409.7 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 10.0%.

**გრანტებზე** გაწეული ხარჯი შეადგენს 8.2 ათას ლარს.

**სოციალურ უზრუნველყოფაზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 3,392.5 ათასი ლარი, მთლიანი მოცულობის 4.6%.

**სხვა ხარჯებზე** გაიხარჯა 1,294.3 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 1.8%-ია.

**არაფინანსური აქტივების ზრდამ** შეადგინა 25,732.7 ათასი ლარი, მთლიანი ხარჯების – 34.9%.

**ფინანსური აქტივების ზრდამ** შეადგინა 1,931.4 ათასი ლარი, მთლიანი ხარჯების – 2.6%.

**ვალდებულებების კლებაზე** მიიმართა 7,853.0 ათასი ლარი, ხვედრითი წილი – 10.6%.



**ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ქრილში**

პროგრამულ ქრილში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:

კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის 6 თვე		
			გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %
<b>01 00</b>	<b>წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება</b>	<b>25,996.4</b>	<b>14,433.1</b>	<b>13,301.1</b>	92.2%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,678.2	872.0	767.8	88.1%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	5,766.5	3,020.3	2,706.9	89.6%
01 03	სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	18,242.0	10,346.5	9,719.1	93.9%
01 04	სარეზერვო ფონდი	36.3	36.3		
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	42.2	42.2	0.2	0.5%
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება	21.4	12.0	7.0	58.3%
01 07	თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება	91.0	45.0	41.3	91.8%
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება	118.8	58.8	58.8	100.0%
<b>03 00</b>	<b>ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება</b>	<b>83,331.5</b>	<b>39,603.1</b>	<b>36,153.4</b>	91.3%
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	40,739.9	17,040.8	15,577.2	91.4%
03 02	საზაფხურო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	20,570.1	12,545.0	11,755.9	93.7%
03 03	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	14,077.8	7,564.1	6,899.4	91.2%
03 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	5,552.9	1,466.5	1,049.3	71.6%
03 05	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	1,062.3	663.6	648.9	97.8%
03 06	ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა	1,328.5	323.1	222.7	68.9%
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>15,286.2</b>	<b>7,659.5</b>	<b>7,005.5</b>	91.5%
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	15,109.8	7,547.0	6,894.6	91.4%
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	167.2	107.2	105.7	
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	9.2	5.3	5.2	
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი</b>	<b>15,352.3</b>	<b>7,687.1</b>	<b>6,053.2</b>	78.7%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	5,649.6	3,588.3	2,926.4	81.6%
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	4,137.7	1,588.8	874.7	55.1%
05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	2,535.0	1,196.4	1,108.5	92.7%
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	2,243.4	1,217.3	1,084.4	
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	627.5	20.0	20.0	100.0%
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	159.1	76.3	39.2	
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>14,271.2</b>	<b>7,100.3</b>	<b>5,768.0</b>	81.2%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	4,181.0	1,726.9	1,422.0	82.3%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	9,379.3	5,067.1	4,091.1	80.7%
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	710.9	306.3	254.9	83.2%
<b>07 00</b>	<b>ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება</b>	<b>13,731.9</b>	<b>6,251.9</b>	<b>5,516.3</b>	88.2%
07 01	ქალაქის დაგეგმარება	1,113.7	258.7	213.6	82.6%
07 02	ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	335.0	50.0		-
07 03	ქალაქის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია	435.0			-
07 04	მუნიციპალური სერვისების განვითარება	2,134.1	505.4	415.0	82.1%
07 05	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება	9,714.1	5,437.8	4,887.7	89.9%
<b>გადასახდელების ჯამი</b>		<b>167,969.5</b>	<b>82,735.0</b>	<b>73,797.5</b>	<b>89.2%</b>



**ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში**

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ექვსი თვის გადასახდელებმა შეადგინა 13,301.0 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა იყო 14,433.1 ათასი ლარი. შესრულებამ შეადგინა 92.2%, მათ შორის:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ექვსი თვის ხარჯებმა შეადგინა 767.8 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 872.0 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 88.0%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიძღვრათა 523.2 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 185.0 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 19.9 ლარი, სხვა ხარჯებზე - 32.6 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივებზე - 7.1 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ექვსი თვის ხარჯებმა შეადგინა 2,706.9 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3,020.3 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 89.6%. აქედან, შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 1,746.9 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 854.7 ათასი ლარი, გრანტებზე - 8.2 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 23.4 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 15.3 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივებზე - 58.3 ლარი.

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვაზე მიიძღვრათა 9,719.1 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 10,346.5 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 93.9%, აქედან:

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურების ხარჯებზე გათვალისწინებული იყო 98.4 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯული იქნა 98.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.9%. მათ შორის პროცენტების დაფარვაზე მიიძღვრათა 21.6 ათასი ლარი, ხოლო სესხის ძირითადი თანხის დაფარვაზე - 76.7 ათასი ლარი.

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურების ხარჯებზე გათვალისწინებული იყო 10,248.1 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯული იქნა 9,620.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 93.9%. მათ შორის პროცენტების დაფარვაზე მიიძღვრათა 1,844.5 ათასი ლარი, ხოლო სესხის ძირითადი თანხის დაფარვაზე - 7,776.3 ათასი ლარი.





**წვევამდელთა ტრანსპორტირებისთვის** გათვალისწინებული იყო 12.0 ათასი ლარი, რაც დაფინანსდა 58.0%-ით (საკასო ხარჯი - 7.0 ათასი ლარი).

**თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერების ქვეპროგრამისათვის** გათვალისწინებული იყო 45.0 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯული იქნა 41.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 91.8%.

**მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარებისათვის** გათვალისწინებული იყო 58,8 ათასი ლარი, რაც დაფინანსდა 100%-ით (საკასო ხარჯი - 58,8 ათასი ლარი).

**ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარების ხარჯებმა** შეადგინა 36,153.4 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 39,603.2 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 91.3%, საიდანაც:

**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ხარჯებმა** შეადგინა 15,577.1 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 17,040.8 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 91.4%, კერძოდ:

**გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობის ხარჯებმა** შეადგინა 1,012.7 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,102.6 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 91.8%.

**საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის ხარჯებმა** შეადგინა 12,615.4 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 13,729.0 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 91.9%.

**გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის ხარჯებმა** შეადგინა 1,949.0 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2,209.3 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 88.2%. აქედან საქონელი და მომსახურების ხარჯები შეადგენს \_ 1,826.1 ათას ლარს, არაფინანსური აქტივები შეადგენს \_ 122.9 ათას ლარს.

**საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამაზე** 2018 წლის ექვსი თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 12,545.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 11,755.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.7%-ია, აქედან:

**სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობაზე** მიიმართა 1,301.7 ათასი ლარი, გეგმა შეადგენდა 1,481.3 ათას ლარს \_ 87.9% შესრულებით, აქედან საქონელსა





და მომსახურებაზე მიიმართა 636.8 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები შეადგენს \_ 665.0 ათას ლარს.

**წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე** მიიმართა 1,659.6 ათასი ლარი, გეგმა შეადგენდა 2,157.9 ათას ლარს \_ 76.9% შესრულებით.

**კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციაზე** მიიმართა 860.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 860.7 ათას ლარს \_ 99.9% შესრულებით.

**ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსებაზე** 7,933.9 ათასი ლარი მიიმართა, რაც გეგმის 8,045.1 ათასი ლარის 98.6%-ია. პროექტი სრულდება გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტით, რომელიც ითვალისწინებს ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის სრულ რეაბილიტაციას. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა პროექტის თანადაფინანსების სახით დამატებული ღირებულების გადასახადის და სხვა გადასახადების დაფარვა.

**ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამაზე** 2018 წლის ექვსი თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 7,564.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 6,899.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 91.2%-ია, აქედან:

**ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის ქვეპროგრამაზე** გათვალისწინებული იყო 4,099.8 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა კი შეადგინა 4,099.0 ათასი ლარი 99,9%-იანი შესრულებით.

**პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობის დაზუსტებული გეგმა** შეადგენდა 46.1 ათას ლარს, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 28.3 ათასი ლარი, 61.3%-იანი შესრულებით.

**ქალაქის გამწვანების ღონისძიებებზე** გეგმით გათვალისწინებული იყო 1,295.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 1,102.9 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 85.2%. საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 340.5 ათასი ლარი, ხოლო საქონელსა და მომსახურებაზე \_ 657.3 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფაზე \_ 8.7 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 96.4 ათასი ლარი.



**სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვის ქვეპროგრამის ფარგლებში** ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 456.5 ათასი ლარით, გეგმა 467.9 ათას ლარს შეადგენდა, ანუ შესრულება 97.6%-ია, საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 134.9 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურებაზე - 286.7 ათასი ლარი და არაფინანსურ აქტივებზე - 34.9 ათასი ლარი.

**ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღის ასიგნების ფარგლებში** გაწეულმა საკასო ხარჯმა 256.1 ათასი ლარი შეადგინა, გეგმით გათვალისწინებული იყო 493.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 51.9%.

**ქალაქის გაფორმების ღონისძიებებზე** მიმართული იყო 1,143.3 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 944.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 82.6%-ია. საიდანაც საქონელი და მომსახურებაზე - 198.3 ათასი ლარი და არაფინანსურ აქტივებზე - 746.6 ათასი ლარი.

**პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობაზე** (განმახორციელებელი ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო) გაწეულმა საკასო ხარჯმა 11.8 ათასი ლარი შეადგინა, გეგმით გათვალისწინებული იყო 18.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 62.5%.

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟის პროგრამაზე** 2018 წლის ექვსი თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 1,466.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 1,049.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 71.5%-ია, აქედან:

**საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაზუსტებული გეგმა** შეადგენდა 420.0 ათას ლარს, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 91.8 ათასი ლარი, ე. ი. გეგმის 21.9%.

**ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი** ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 957.5 ათასი ლარით, გეგმა 1,046.5 ათას ლარს შეადგენდა, ანუ შესრულება 91.5%-ია, საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 172.3 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურებაზე - 149.1 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფაზე - 1.5 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 631.7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 2.8 ათასი ლარი.

**მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობის პროგრამაზე** 2018 წლის ექვსი თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 663.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 648.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.8%-ია, აქედან:



**მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობის** ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 224.8 ათასი ლარით, გეგმა 237.2 ათას ლარს შეადგენდა, ანუ შესრულება 94.8%-ია, საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე მიიძარტა 192.9 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 31.8 ათასი ლარი.

**მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობის** დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 426.4 ათას ლარს, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 424.1 ათასი ლარი, ე. ი. გეგმის 99.5%.

**ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვის პროგრამაზე** 2018 წლის ექვსი თვის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 323.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 222.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 68.9%-ია, აქედან:

**ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს** ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 222.7 ათასი ლარით, გეგმა 323.1 ათას ლარს შეადგენდა, ანუ შესრულება 68.9%-ია, საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე მიიძარტა 185.3 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 33.0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფაზე - 0.5 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივებზე - 4.0 ათასი ლარი

**განათლების** სამი თვის ხარჯებმა შეადგინა 7,005.5 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა იყო 7,659.5 ათასი ლარი, რაც აღნიშნული თანხის 91.5%-ს შეადგენს, მათ შორის:

**სკოლამდელი აღზრდა და განათლების პროგრამებზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 6,894.6 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა იყო 7,547.0 ათასი ლარი, ანუ შესრულდა 91.4%-ით, აქედან:

**ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების** მთლიანმა ხარჯებმა შეადგინა 5,802.7 ათასი ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 6,313.4 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 91.9%-ს შეადგენს, საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე მიიძარტა 3,352.7 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 2,389.8 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 43.1 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 8,2 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივებზე - 8.9 ათასი ლარი.

**საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაციის ქვეპროგრამის** დაფინანსებაზე მიიძარტა 1,091.9 ათასი ლარი, რაც შესრულდა 88.5%-ით, გეგმა 1,233.6 ათასი ლარი.



პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული იყო 107.2 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 105.7 ათასი ლარი, რაც შესრულდა 98.6%-ით, რომელიც მიიმართა შემდეგ ქვეპროგრამებზე, კერძოდ:

პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე გათვალისწინებული იყო 40.0 ათასი ლარი, ხარჯი - 38.5 ათასი ლარი, ე.ი. შესრულდა 96.3%-ით.

ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის გათვალისწინებული იყო 40.0 ათასი ლარი, რაც შესრულდა 100%-ით.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული იყო 27,2 ათასი ლარი, რაც შესრულდა 100%-ით.

ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამაზე მიიმართა 5.2 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმის (5.3 ათასი ლარი) 98.6%-ია, აქედან;

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამაზე გათვალისწინებული იყო 5.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 5.2 ათასი ლარით, შესრულება 98.6%.

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის პროგრამებით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 6,053.3 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა იყო 7,687.1 ათასი ლარი, ანუ შესრულდა 78.7%-ით, რომელიც მოიცავს:

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე მიიმართა 2,926.4 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმის (3,588.3 ათასი ლარი) 81.6%-ია, აქედან;

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული იყო 78.2 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 64.0 ათასი ლარი, რაც შესრულდა 81.9%-ით.

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის ქვეპროგრამის დაფინანსებაზე მიიმართა 158.9 ათასი ლარი, რაც შესრულდა 83.8%-ით, გეგმა 189.7 ათასი ლარი.

ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობაზე გათვალისწინებული იყო - 9,0 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში დაფინანსება არ განხორციელებულა.

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის ქვეპროგრამის დაფინანსებაზე მიიმართა 2,516.4 ათასი ლარი, რაც შესრულდა 81.9%-ით, გეგმა 3,072.5 ათასი ლარი.



ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"-ს დაფინანსებაზე გათვალისწინებული იყო 139.2 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 99.6 ათასი ლარი, რაც შესრულდა 71.5%-ით. მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 28.8 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურებაზე - 67.3 ათასი ლარი და სხვა ხარჯებზე - 3.5. ათასი ლარი.

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბისათვის გათვალისწინებული იყო 97.0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 87.5 ათასი ლარი, რაც შესრულდა 90.2%-ით. მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 27.5 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურებაზე - 60.0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ ბათუმის ავტოდრომის ხელშეწყობაზე გათვალისწინებული იყო - 2.7 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში დაფინანსება არ განხორციელებულა.

მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობის პროგრამის ფარგლებში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 874.7 ათასი ლარი, რაც შესრულდა 55.1%-ით (გეგმა \_ 1,588.8 ათასი ლარი), აქედან:

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრის დაფინანსდა 565.5 ათასი ლარით, გეგმა შეადგენდა 728.8 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 77.6%. მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 189.8 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურებაზე - 375.6 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე \_ 0,1 ათასი ლარი.

სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციის ქვეპროგრამაზე გათვალისწინებული იყო 860.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 309.2 ათასი ლარით, შესრულება 35.9%-ია.

კულტურული ღონისძიებები და ფესტივალების პროგრამის ფარგლებში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1,108.5 ათასი ლარი, რაც შესრულდა 92.7%-ით (გეგმა \_ 1,196.4 ათასი ლარი), აქედან:

კულტურული ღონისძიებების მართვის ქვეპროგრამა დაფინანსდა 512.5 ათასი ლარით, გეგმა შეადგენდა 553.5 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 92.6%. მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 426.7 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურებაზე - 81.9 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფაზე - 2.6 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივებზე - 1.2 ათასი ლარი.





**ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებებისათვის** გათვალისწინებული იყო 509.9 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 507.1 ათასი ლარი, რაც შესრულდა 99.5%-ით.

**კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის ქვეპროგრამისათვის** გათვალისწინებული იყო - 33.0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 17.4 ათასი ლარი, რაც შესრულდა 52.7%-ით.

**კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის ქვეპროგრამისათვის** გათვალისწინებული იყო - 100.0 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა - 71.5 ათასი ლარით, შესრულდა 71.5%-ით.

**კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამის** ფარგლებში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1,084.4 ათასი ლარი, რაც შესრულდა 89,1%-ით (გეგმა – 1,217.3 ათასი ლარი), აქედან:

